საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2959/01
25/03/2022

2959-01-2-202203250957

შპს „ბი ბის“

მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით ყიფიანის ქ. 23, ბინა №30

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 4 მარტის №4484 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო წყლის რეზერვუარის განთავსების ადგილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობისა და მისი მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი გამოყენების საკითხი. ამასთან სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული არ არის აღნიშნული რეზერვუარის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტის სტატუსი და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში, „საპროექტო ადგილმდებარეობის თავში“ მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან 0,3 ჰა (3 000 მ^2) გამოყენებული იქნება მცირე, მარტივი კონსტრუქციის საოფისე ნაგებობის მოსაწყობად. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ნაგებობის ფართობი და მისი მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044